

174  
1982



საქართველოს  
აкадеმიის  
განათლების  
სამინისტრო

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

**ბრძანებათა  
და  
ინსტრუქციათა  
კრებული**

ISSN 0206-2674

თბილისი  
1982

ოქტომბერი **№ 10** ОКТЯБРЬ

МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

СБОРНИК  
ПРИКАЗОВ  
И  
ИНСТРУКЦИЙ

ТБИЛИСИ  
1982



ქ. თბილისის საქარხნო რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო  
სკოლებში შრომითი სწავლების მდგომარეობისა და გაუმჯობესების  
ლონისძიებათა შესახებ

უკანასკნელ წლებში საქარხნო რაიონის სახალხო განათლების გან-  
ყოფილებაში, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში პარტიული, საბჭოთა  
ორგანოებისა და საბაზო საწარმოების დახმარებით მნიშვნელოვანი  
მუშაობა ჩაატარეს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მი-  
ნისტრთა საბჭოს 1977 წლის 22 დეკემბრის № 1111 და შესაბამისად  
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მი-  
ნისტრთა საბჭოს 1978 წლის № 286 დადგენილებების „ზოგადსაგან-  
მანათლებლო სკოლების მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის და შრო-  
მისათვის მათი მომზადების შემდგომი სრულყოფის ღონისძიებათა შესა-  
ხებ“ შესასრულებლად.

მოსწავლეთა შრომითი სწავლების, აღზრდისა და პროფესიული  
ორიენტაციის გაუმჯობესების მიზნით რაიონის სკოლების სასწავლო სა-  
ხელოსნოები შეივსო ახალი დაზგა-დანადგარებით, სამუშაო ხელსაწყო-  
ებით, სასწავლო თვალსაჩინო მასალებით, რითაც მნიშვნელოვნად გა-  
უმჯობესდა შრომითი სწავლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

დაწყებით კლასებში მოსწავლეთა შრომითი სწავლების, აღზრდი-  
სა და პროფესიული ორიენტაციის გაუმჯობესების თვალსაზრისით რაი-  
ონში, მუშაობის სხვა ფორმებთან ერთად, საფუძველი ჩაეყარა მოსამზა-  
დებელი, I-III კლასების მოსწავლეთათვის შრომის სწავლების ოთახე-  
ბის შექმნას. რაიონის 18 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის IV-VII კლასებისათვის ლითონის დამუშავების სახელოსნო მოწყობილია 14 სკოლაში, მერქნის დამუშავების — 12 სკოლაში, ხოლო მომსახურები-  
თი შრომის კაბინეტი — 8-ში.

დამაკმაყოფილებლადაა მოწყობილი შრომის სასწავლო სახელოს-  
ნოები 108-ე (დირექტორი ნ. ბერუჩაშვილი), 83-ე (დირექტორი  
ე. ეგოროვა), 146-ე (დირექტორი ზ. ჭილაშვილი) საშუალო სკოლებში.

რაიონის 16 ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის 2146  
უფროსკლასელი მოსწავლე სახალხო მეურნეობის სხვადასხვა პროფი-  
ლით გაღრმავებულ შრომით სწავლებას გადის სკოლის, სასწავლო-სა-  
წარმოო კომბინატისა და საბაზო საწარმოების (ორგანიზაციების) ბა-  
ზაზე.

სასწავლო-საწარმოო კომბინატში (დირექტორი ი. კალანდაძე)  
კარგად მოწყობილ თეორიული სწავლების კაბინეტებში, სასწავლო-  
საწარმოო სამქროებში გაღრმავებული შრომის სწავლებაში ჩაბმულია

ქ. მარქსის ს.ხ. საქ. სსრ  
სახელმწიფო რესპუბლიკა

რაიონის 6 ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის IX-X კლასების 960 მოსწავლე, რომლებიც წარმატებით ეუფლებიან ავტომობილის შემკეთებელი ზეინკლის, ქსოვილების დამუშავების ტექნოლოგიას, სასურსათო მალაზიის გამყიდველის, მბეჭდავ-მემანქანისა და საქმის-მწარმოებლის პროფესიებს.

საქარბნო რაიონის № 3 სასწავლო-საწარმოო კომბინატზე მიმაგრებული სკოლების IX-X კლასების მოსწავლეთა შრომითი სწავლება დაკავშირებულია მწარმოებლურ შრომასთან, 1981—1982 სასწავლო წლის პირველი სემესტრის შედეგების მიხედვით მოსწავლეების მიერ გამოშვებულია 14576 მანეთის ღირებულების პროდუქცია. რაიონის სკოლებში განსაკუთრებული პასუხისმგებლობით ეკიდებიან კურსდამთავრებულთა შრომითი მოწყობის საკითხს.

ამასთან ერთად, როგორც შემოწმებით დადგინდა, რაიონის რიგ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა შრომითი სწავლების, აღზრდისა და პროფესიული ორიენტაციის საქმეში ჯერ კიდევ ადგილი აქვს მთელ რიგ ნაკლოვანებებს.

საქარბნო რაიონის სახალხო განათლების განყოფილება (გამგე გ. კბილაშვილი, შრომითი სწავლებისა და პროფესიული ორიენტაციის სასკოლო ინსპექტორი ნ. ხორავა) სათანადო ხელმძღვანელობასა და თანმიმდევრულ კონტროლს არ ახორციელებს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში შრომითი სწავლების სახელოსნოების შექმნისა და მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის, სასწავლო წლის დასაწყისში არ ატარებს სასწავლო სახელოსნოების მდგომარეობის დათვალიერებას, არ აქვს შემუშავებული კონკრეტული ღონისძიებები გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.

აღნიშნული მიზეზის გამო არადაამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია IV-VII კლასების შრომითი სწავლების სასწავლო სახელოსნოები 82-ე (დირექტორი ვორობიოვა), 105-ე (დირექტორი პარასტატოვა), 94-ე (დირექტორი ტყეშელაშვილი) საშუალო სკოლებში. ტექნიკური შრომის სახელოსნოები მოთავსებულია მცირე ფართობის მქონე ოთახებში, ჩარბ-დანადგარები ტექნიკურად არასწორადაა დამონტაჟებული, მცირეა მოსწავლეთა ინდივიდუალური სამუშაო ადგილები, დაზიანებულია ჩარბები. სახელოსნოში დაცული არაა უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმო-სანიტარული ჰიგიენის წესები.

შემოწმებამ ნათელყო, რომ რაიონის რიგ საშუალო სკოლებისათვის სრულყოფილად არაა შერჩეული საბაზო საწარმოები (ორგანიზაციები), რის გამოც დარღვეულია ზემდგომი ორგანოების მითითება გაღრმავებული შრომითი სწავლების შემოღების შესახებ, მიუხედავად საკანონმდებლო დადგენილებებისა, საბაზო საწარმოები (ორგანიზაციები) სრულად არაა შერჩეული: 107-ე, 82-ე, 94-ე საშუალო სკოლებზე, რის გამოც აღნიშნული სკოლების IX-X კლასების მოსწავლე გოგონები გა-


ლრმავებულ შრომის სწავლებას გადიან სკოლის ბაზაზე, სწავლებისათვის არ გააჩნიათ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, არაა შექმნილი თეორიული სწავლების კაბინეტები.

არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს გაღრმავებული შრომითი სწავლება დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნისა და ქარხანა „საქსოფლმანქანის“ ბაზაზე. საბაზო საწარმოებში მოუწყობელია სასწავლო-საწარმოო საამქროები, უბნები.

შრომით სწავლებაში არსებული ნაკლოვანებები იმითაც არის გამოწვეული, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ხელმძღვანელები, რაიონის სახალხო განათლების განყოფილება და ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველო პრინციპულ მოთხოვნებს არ უყენებენ საბაზო დაწესებულებას მოსწავლე ახალგაზრდობის შრომითი სწავლების, აღზრდისა და პროფესიული ორიენტაციის გაუმჯობესების თაობაზე.

მიუხედავად საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის ერთობლივი ბრძანებისა სათანადოდ არ არის გამოყენებული რაიონში მდებარე პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზები. სსრ კავშირის ხელსაწყომშენებლობის ავტომატიზაციის სამუშაოთა და მართვის სისტემების სამინისტროს ქარხანა „თბილ-ხელსაწყოს“ (დირექტორი ო. მასიაშვილი), საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს სატრიკოტაჟო-საგალანტერიო გაერთიანების (დირექტორი მ. ქარუმძე), საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს სათამაშოების გაერთიანება „სიხარულის“ (დირექტორი ა. გამგებელი), საქართველოს სსრ ავტოსატრანსპორტო სამინისტროს №№ 1, 4, 5, ქ. თბილისის მსუბუქი ტექსტოლოგიისა და ავტოსატრანსპორტო სამინისტროს № 2652 ავტოკოლონის საბაზო საწარმოების მიერ სასწავლო-საწარმოო კომბინატში შექმნილი სასწავლო-საწარმოო საამქროები, კაბინეტ-ლაბორატორიები და დამხმარე სამსახურები არ წარმოადგენენ ამ ორგანიზაციების სტრუქტურულ ქვეგანყოფილებას და გათვალისწინებული არ არიან ამ ორგანიზაციათა საწარმოო გეგმებში, ისინი რიტმულად არ მარაგდებიან სამუშაო მასალებით, რის გამოც მოსწავლეები ზოგჯერ დაუსაქმებელი რჩებიან.

შემოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ რაიონის სახალხო განათლების განყოფილება, მეთოდური კაბინეტი არასაკმარის ღონისძიებებს ატარებენ შრომის მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების, მათი პედაგოგიური დახელოვნებისა და საგნობრივი მეთოდგაერთიანების მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, რის გამოც რიგ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში შრომითი სწავლების მასწავლებელთა ერთი ნაწილის პედაგოგიური განათლების დონე კვლავ დაბალია, ისინი ყოველდღიური მუშაობისათვის არ იყენებენ საჭირო მეთოდურ ლიტერატურას, დაბალი აკადემიური ცოდნის დონეზე ატარებენ გაკვეთილებს



(სსკ 76-ე, 107-ე, 82-ე, 94-ე სკოლები).

სუსტად მუშაობენ შრომის მასწავლებელთა საგნობრივი მეთოდური გაერთიანებები 76-ე, 82-ე, 152-ე, 107-ე, 168-ე საშუალო სკოლებში.

განათლების განყოფილების ინიციატივით ყოველწლიურად ეწყობა მოსწავლეთა თვითნაკეთი ნამუშევრების რაიონული გამოფენა, არასაკმარის ღონისძიებებს ახორციელებენ შრომის საგნობრივი წრეების მუშაობის ორგანიზებისათვის, აღნიშნული მიზეზების გამო 76-ე, 82-ე, 107-ე, 152-ე, 168-ე საშუალო სკოლებში დაბალ დონეზეა ტექნიკურ და მომსახურებით შრომის წრეებში მოსწავლეთა შემოქმედებითი საქმიანობა.


რაიონის რიგ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში შრომით სწავლებაში არსებული ნაკლოვანებების გარკვეული ნაწილი გამოწვეულია განათლების განყოფილებისა და სკოლის დირექციის სუსტი კონტროლით. მოსმენილი გაკვეთილების ანალიზიდან გამომდინარე მასწავლებლებს არ ეძლევათ მეთოდურად დახვეწილი რეკომენდაციები, არ მოწმდება მოსწავლეთა ცოდნის დონე, ხშირ შემთხვევაში გაკვეთილზე დასწრების მიზანს არ წარმოადგენს იმ მეთოდური შენიშვნების, რეკომენდაციების შესრულების შემოწმება, რომლებიც მასწავლებლებს მიეცათ ადრე ჩატარებული გაკვეთილების შედეგად.

შრომის სწავლებაში არსებული ნაკლოვანებები იმითაც არის გამოწვეული, რომ ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველო (შრომის სწავლებისა და პროფესიული ორიენტაციის სასკოლო ინსპექტორი რ. სტურუა) თანმიმდევრულ ხელმძღვანელობასა და კონტროლს არ ახორციელებს სახალხო განათლების საბჭოს გადაწყვეტილების შესრულებაზე, სამმართველოში არ იხილება ცალკეული განათლების განყოფილების, სკოლებისა და საბაზო საწარმოს (ორგანიზაციის) ერთობლივი მუშაობის შედეგები, სკოლების კომპლექსური შემოწმების დროს სრულყოფილად არ ხდება შრომის სწავლებაში არსებული მდგომარეობის შესწავლა.

**კოლეგიამ გადაწყვიტა:**

1. ქ. თბილისის საქარზნო რაიონის სახალხო განათლების განყოფილებამ (ამხ. გ. ვ. კბილაშვილი):

1. 1. სახალხო განათლების საბჭოს სხდომაზე იმსჯელოს ამ გადაწყვეტილებაში და ცნობაში აღნიშნულ ნაკლოვანებებზე. მოსწავლეთა შრომითი სწავლების, აღზრდისა და პროფორიენტაციის საქმეში მეტი მოთხოვნები წაუყენოს საბაზო საწარმოთა ხელმძღვანელებს რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთათვის სასწავლო-საწარმოო საამქროების მოწყობისა და აღჭურვის მიზნით; ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა ორგანოების, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სა-



ბაზო ორგანიზაციების დახმარებით შეიმუშაოს საწარმოებში სასწავლო-საწარმოო საამქროების, საამქროებში უბნების გამოყოფის, მათში მწარმოებლური შრომის დანერგვის ღონისძიებები და განახორციელოს მათი პრაქტიკულად შესრულება.

1. 2. გააფართოოს რაიონის სკოლებში მოსამზადებელი, I-III კლასების მოსწავლეთა შრომითი სწავლების ოთახების ქსელი, იზარუნოს ტექნიკური შრომის სასწავლო სახელოსნოების, მომსახურებითი შრომის, ავტოსაქმისა და მანქანათსაშენი ხაზვის კაბინეტების მოწყობისათვის, ხოლო არსებული სასწავლო სახელოსნოების და კაბინეტების საჭირო მოწყობილობებით, თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღებით, სწავლების ტექნიკური საშუალებებით შევსებისა და სასწავლო მუშაობაში მათი სრულყოფილად გამოყენებისათვის.

1. 3. უზრუნველყოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1980 წლის 22 მაისის გადაწყვეტილების განუხრელად შესრულება.

1. 4. მოსწავლეთა შრომითი სწავლების, აღზრდისა და პროფესიული ორიენტაციის გაუმჯობესების მიზნით სახალხო განათლების საბჭოს სხდომებზე განიხილოს ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლისა და საბაზო საწარმოს ერთობლივი მუშაობის საკითხები.

1. 5. უზრუნველყოს ქ. თბილისის 76-ე, 82-ე, 94-ე, 107-ე საშუალო სკოლების უფროსკლასელთა შრომითი სწავლებისათვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზების განმტკიცება.

1. 6. გააუმჯობესოს მუშაობა მოსწავლეთა ტექნიკური შემოქმედების დონის ასამაღლებლად, რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა წრეების საქმიანობაში მოსწავლეთა ჩასაბმელად; სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი დაუქვემდებაროს მოსწავლეებში მუშათა პროფესიებისადმი ინტერესის ჩამოყალიბებას.

1. 7. გადამჭრელი ზომები გაატაროს სასწავლო სახელოსნოებში, სასწავლო-საწარმოო საამქროებში, უბნებში, მოსწავლეთა სასწავლო და მწარმოებლური შრომის პროცესში უსაფრთხოების ტექნიკის, საწარმოო სანიტარიისა და ჰიგიენის ნორმების დაცვაზე. რაიონის თითოეულ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სასწავლო წლის დაწყებამდე ჩაატაროს სასწავლო საამქროებსა და შრომის კაბინეტებში არსებული ჩარხ-დანადგარების ტექნიკური მდგომარეობის დათვალიერება, უზრუნველყოს გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა.

1. 8. გააუმჯობესოს ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებში შრომითი სწავლების მასწავლებლებისადმი ხელმძღვანელობა, დახმარება და კონტროლი მასწავლებელთა მეთოდური დონის ამაღლების მიზნით, შექმნას სკოლებში შრომის მასწავლებელთა მეთოდგაერთიანება.



1. 9. მოსწავლე ახალგაზრდობის შრომითი სწავლების, აღზრდისა და პროფესიული ორიენტაციის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ საქართველოს სსრ ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილების პრაქტიკული განხორციელების მიზნით რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სრულყოფის შრომითი სწავლებისა და აღზრდის ორგანიზაცია, შინაარსი და მეთოდები, გააძლიეროს შრომის გაკვეთილების აღმზრდელითი როლი.

1. 10. საბაზო ორგანიზაციების დახმარებით მიმდინარე წლის დემონსტრაციული რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებში შემაჯობა და სათანადო მასალებით აღჭურვოს პროფესიული ორიენტაციის კაბინეტები.

1. 11. გაუმჯობესოს ტექნიკურ, საყოფაცხოვრებო შრომისა და სხვა საგნობრივ წრეებში მოსწავლეთა შემოქმედებითი საქმიანობა, მოაწიოს შინასასკოლო და რაიონული კონკურსები, მოსწავლეთა საუკეთესო ნაწარმების გამოფენები.

1. 12. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების საინსპექტორო შემოწმებისას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს შრომითი სწავლების პროგრამით გათვალისწინებული თემების შესწავლის თანმიმდევრობას, მათთვის განკუთვნილი საათების რაციონალურ განაწილებას, სასწავლო მოწყობილობის გამართულობასა და სწავლებაში მისი გამოყენების საკითხებს.

1. 13. მოსწავლეებელთა მეთოდური დახელოვნებისა და მოწინავე გამოცდილების განზოგადების მიზნით შექმნას ტექნიკური შრომის, საყოფაცხოვრებო მომსახურების, მანქანათსაშენი ხაზვის, ქსოვილების რამუშავეების ტექნოლოგიისა და სკოლებში არსებული სხვადასხვა პროცესების მოსწავლეებელთა რაიონული საგნობრივი მეთოდგაერთიანებები, რომელთა ხელმძღვანელებად შეარჩიოს სათანადო ცნვისა და გამოცდილების მქონე მუშაკები.

2. ქ. თბილისის სახალხო განათლების საშრომელომ (ამხ. ლ. ჩიქვანია):

2. 1. სისტემატურად შეისწავლოს და სახალხო განათლების საბჭოს სხდომაზე განიხილოს განათლების განყოფილების, სკოლისა და საბაზო საწარმოების ერთობლივი მუშაობის შედეგები და მიიღოს გადამჭრელი ზომები არსებული მდგომარეობის გამოსასწორებლად, მეტი ყურადღება მიაქციოს ამ მიმართებით მიღებული გადაწყვეტილების შესრულების მიმდინარეობას.



2. 2. 1983 წლის II კვარტალში განათლების სამინისტროს წარმომადგენელთა ინფორმაცია ქალაქის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში შრომითი სწავლების, აღზრდისა და პროფესიული ორიენტაციის გაუმჯობესების მიზნით გატარებული ღონისძიებების შესახებ.

2. 3. გადაწყვეტილების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს სკოლების სამმართველოს შრომითი სწავლებისა და პროფორიენტაციის სექტორს (ამხ. გ. დევედარიანი).

კოლეგიის თავმჯდომარე,

მინისტრის პირველი მოადგილე

**მ. კობახიძე**



ქ. თბილისის საქარხნო რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში  
შრომითი სწავლებისა და პროფორიენტაციის მდგომარეობის  
შესახებ

სამუშაო გეგმის მიხედვით შემოწმებული იქნა ქ. თბილისის საქარხნო რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში შრომითი სწავლებისა და პროფორიენტაციის მდგომარეობა.

შემოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ რაიონში გარკვეული ღონისძიებებია გატარებული სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 22 დეკემბრის № 1111 დადგენილების „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის და შრომისათვის მათი მომზადების შემდგომი სრულყოფის შესახებ“, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1978 წლის აგვისტოს დადგენილების „მოსწავლეთა შრომითი სწავლების გასაუმჯობესებლად ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზის შემდგომი განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ“ განსახორციელებლად.

შრომითი სწავლების გაუმჯობესების მიზნით რაიონის სკოლების სახელოსნოები შეიქმნა ახალი დაზგა-დანადგარებით, სამუშაო ხელსაწყოებით, სასწავლო-თვალსაჩინო მასალებით, რითაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა შრომითი სწავლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

სახალხო განათლების განყოფილებამ ადგილობრივი პარტიული და სამეურნეო ორგანიზაციების დახმარებით სერიოზული მუშაობა ჩაატარა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში საბაზო საწარმოს შერჩევის, მასში მოსწავლეთა საწარმოო პროცესის ორგანიზებულად წარმართვისათვის საბაზო საწარმოო ორგანიზაციების პასუხისმგებლობის გაზრდის, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების შრომის სასწავლო კაბინეტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფისა და მოწინავე საბაზო ორგანიზაციების მუშაობის გამოცდილების განზოგადების მიზნით. ჩატარდა საბაზო საწარმოთა ხელმძღვანელების, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დირექტორებისა და ადგილობრივ პარტიულ ხელმძღვანელთა გაფართოებული პედსაბჭო. პედსაბჭოზე ანალიზი გაუკეთდა რაიონში შრომითი სწავლების შედეგებს და დაისახა კონკრეტული ამოცანები მისი შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

დაწყებით კლასებში მოსწავლეთა შრომითი სწავლების, აღზრდისა და პროფესიული ორიენტაციის გაუმჯობესების მიზნით, მუშაობის სხვა ფორმებთან ერთად, საფუძველი ჩაეყარა შრომითი სწავლებისათვის განკუთვნილი ოთახების შექმნას I—III კლასებში. ამ მხრივ აღსანიშნავია 107-ე საშუალო სკოლა (დირექტორი შ. ლეკიშვილი), მოსამზა-



დებელი სამუშაოებია ჩატარებული 108-ე საშუალო სკოლაში (დირექტორი თ. ბერუჩაშვილი).

შემოწმების შედეგად გამოირკვა, რომ რაიონის 16 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის IV—VIII კლასებში ლითონის დამუშავების სახელოსნო აქვს 14 სკოლას, მერქნის დამუშავების 16 სკოლას, აღსანიშნავია ერთი გარემოება: იმ სკოლებში, სადაც დირექციების, სასწავლო სახელოსნოს ოსტატებისა და შრომის მასწავლებელთა მიერ ტარდება თანმიმდევრული და ქმედითი ღონისძიებები სასწავლო სახელოსნოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი სრულყოფისათვის, შედეგად დამაკმაყოფილებელია, კარგადაა მოწყობილი შრომის სასწავლო სახელოსნოები 108-ე საშუალო სკოლაში (დირექტორი ბერუჩაშვილი), 83-ე საშუალო სკოლაში (დირექტორი ე. ეგოროვა), 124-ე საშუალო სკოლაში (დირექტორი ე. ჯაფარიძე), 131-ე საშუალო სკოლაში (დირექტორი პაპიძე), 146-ე საშუალო სკოლაში (დირექტორი ზ. ჭილაშვილი). აღნიშნულ სკოლებში სადურგლო, საზეინკლო და საყოფაცხოვრებო მომსახურების შრომის სასწავლო სახელოსნოები მოთავსებულია ნათელ, მშრალ, საკმაო ფართობის მქონე ოთახებში. იატაკი მერქნისაა, აღჭურვილია სავენტილაციო საშუალებებით. სახელოსნოები კარგადაა აღჭურვილი დგამ-ავეჯითა და ჩარხ-დანადგარებით, დანადგარები ტექნიკურად სწორადაა დამონტაჟებული, სამუშაო ხელსაწყო-იარაღები საკმაო რაოდენობისაა და ყველა წესრიგშია, უსაფრთხოების ტექნიკა და სანიტარულ-ჰიგიენური პირობები დამაკმაყოფილებელია, მოსწავლეები მუშაობენ ხალათებსა და წინსაფრებში, აქვთ ინდივიდუალური დაცვის საშუალებები. შრომითი სწავლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა დამაკმაყოფილებელია 168-ე საშუალო სკოლაში (დირექტორი ადამაშვილი), 107-ე საშუალო სკოლაში (დირექტორი შ. ლეკიშვილი), 156-ე საშუალო სკოლაში (დირექტორი გ. მეფისაშვილი).

დამაკმაყოფილებლად მუშაობენ შრომის მასწავლებელთა მეთოდ-გაერთიანებები 145-ე, 146-ე, 83-ე და 124-ე საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მეთოდ-გაერთიანებების სხდომებზე თანმიმდევრულად იხილება მეთოდურად საინტერესო მოხსენებები.

საქარხნო რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში შრომის სასწავლოს 54 პედაგოგი, ატესტაცია გავლილი აქვს 44 პედაგოგს, არ გავლია 10 პედაგოგს. 1982—1983 სასწავლო წელს ატესტაციას გაივლის 8 მასწავლებელი. შეთავსებით მუშაობს 2 მასწავლებელი. საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილებებით ყველა პედაგოგი შეეფერება დაკავებულ თანამდებობას.

მასწავლებლები კარგად ფლობენ ვაკვეთილის ჩატარების ორგანიზაციულ მხარეს, ეცნობიან სწავლებაში არსებულ მოწინავე მეთოდებს და ნერგავენ მათ პრაქტიკაში. გარკვეულ დროს უთმობენ პროფორიენტაციულ მუშაობას, მათი მოსწავლეები კარგად იცნობენ საზოგადოებრივ



ღების გამოყენების ხერხებს, ნახაზების კითხვას, ნაკეთობათა დამზადების ტექნოლოგიას. სასწავლო შრომით სახელოსნოში თვითნებულ მოსწავლეს გააჩნია ინდივიდუალური სამუშაო ადგილი, კარგ გაკვეთილებს ატარებენ მასწავლებლები ნ. ლომიძე (124-ე საშუალო სკოლა), მ. კარაპეტიანი, გ. უშანოვი (108-ე საშუალო სკოლა), ჩამანიანი, მიხაილოვა (108-ე საშუალო სკოლა), კოლიმენტიევი (83-ე საშუალო სკოლა).

სახალხო განათლების განყოფილებამ ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების დახმარებით მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების საბაზო ორგანიზაციების შერჩევისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. რაიონის 16 ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის 2146 უფროსკლასელი მოსწავლე სახალხო მეურნეობის სხვადასხვა პროფილით გაღრმავებულ შრომით სწავლებას გადის სკოლის, სასწავლო-საწარმოო კომბინატისა და საბაზო საწარმოო ორგანიზაციების ბაზაზე. წარმოება-დაწესებულებების ბაზაზე გაღრმავებულ შრომით სწავლებას გადის რაიონის 76-ე, 82-ე, 83-ე, 106-ე, 124-ე 168-ე, 131-ე საშუალო სკოლების IX—X კლასების 868 მოსწავლე, ხოლო 108-ე, 109-ე, 145-ე, 146-ე, 152-ე, 156-ე ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის უფროსი კლასების 961 მოსწავლე გაღრმავებულ შრომით სწავლებას გადის № 3 მოსწავლეთა შრომითი სწავლებისა და პროფესიული ორიენტაციის სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატში, სკოლის ბაზაზეა 107-ე, 117-ე, 82-ე საშუალო სკოლების 318 მოსწავლე. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 28 ოქტომბრის № 571 დადგენილებისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1974 წლის 27 ნოემბრის № 999 ბრძანების საფუძველზე თბილისის საქარხნო რაიონის პარტიული კომიტეტის, სახალხო დემუტატების რაისაბჭოს აღმასკომის ინიციატივითა და სახალხო განათლების განყოფილების ქმედითი დახმარებით 1978 წლიდან მუშაობა დაიწყო ქ. თბილისის საქარხნო რაიონის № 3 სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატმა (დირექტორი ი. კალანდაძე, დირექტორის მოადგილე სასწავლო-საწარმოო მუშაობის დარგში ნ. კაჭარავა).

სასწავლო-საწარმოო კომბინატი მოთავსებულია სამსართულიან არატიპობრივ შენობაში. ამასთან ერთად, კომბინატს დაკავებული აქვს მანქანების სადგომი გარაჟის ტიპის დამხმარე ნაგებობა.

1981—1982 სასწავლო წლისათვის კომბინატის კარგად მოწყობილ თეორიულ სწავლების კაბინეტებში, სასწავლო-საწარმოო საამქროებში გაღრმავებულ შრომით სწავლებას გადის რაიონის 6 საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის IX—X კლასების 961 მოსწავლე, მათ შორის 548 გოგონაა, რომლებიც წარმატებით ეუფლებიან ავტომობილის შემკეთებელი ზეინკლის, ავტომობილის მძღოლის, ელექტროაპარატურის ამწყობ ზეინკლის, ტელეფონის აპარატურის შემკეთებელ ზეინკ-



ლის, ქსოვილების დამუშავების, სათამაშოების დამზადების, სასწავლო-მეთოდური მასალის გამყიდველის, მანქანაზე წერისა და თანამედროვე საქმის-წარმოების პროფესიებს. მოსწავლეთა მწარმოებლურ შრომაში ფართოდ ჩაბმისა და შერჩეული პროფილის საფუძვლიანად დაუფლებისათვის სასწავლო-საწარმოო კომბინატში მოწყობილია თეორიული სწავლების კაბინეტი-ლაბორატორიები, სასწავლო-საწარმოო საამქროები, მისამზადებელი, საიარაღო განყოფილებები, მასალებისა და მზა პროდუქციის საკუჭნაოები, დამმარე სამსახურები და პროფესიული ორიენტაციის კაბინეტები.

სსრ კავშირის ხელსაწყოთა მშენებლობის, ავტომობილზაციის სამუშაოთა და მართვის სისტემების სამინისტროს ქარხანა „თბილხელსაწყომ“ (დირექტორი თ. მისაშვილი) სასწავლო-საწარმოო კომბინატში გამოყოფილ 80 მ<sup>2</sup> ფართობის სათავსოში ელექტროაპარატურის ამწყობ ზეინკლის სპეციალობის შემსწავლელი ჯგუფისათვის მოაწყო თეორიული სწავლების სასწავლო კაბინეტი, სასწავლო-საწარმოო საამქრო (საწარმოო სწავლების ოსტატი მ. ჯაშიაშვილი), რომელშიც თანამედროვე ტექნიკურ მოთხოვნათა დონეზე მოწყობილია ინდივიდუალური სამუშაო ადგილი 25 მოსწავლისათვის.

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს სატრიკოტაჟო-საგალანტერიო გაერთიანებამ (დირექტორი მ. ქარუმიძე) სასწავლო-საწარმოო კომბინატში 25 მოსწავლის ერთდროულად მუშაობისათვის შექმნა შრომითი სწავლებისა და მწარმოებლური შრომისათვის ქსოვილების დასამუშავებელი სასწავლო-საწარმოო საამქრო (საწარმოო სწავლების ოსტატი მ. სამაშვილი), რისთვისაც კომბინატს გადასცა 22ა კლასის 26 საკერავი მანქანა და სხვა აუცილებელი მოწყობილობა. აღნიშნული საწარმო საამქროს აძლევს საწარმოო დაკვეთებს, ამ დავალებათა შესრულებისათვის აწვდის აუცილებელ მასალებს და ტექნიკურ დოკუმენტაციას. ასეთივე კარგი სასწავლო-საწარმოო საამქრო (საწარმოო სწავლების ოსტატი პრევეშატოვი) მოაწყო ამავე სამინისტროს სათამაშოების გაერთიანება „სიხარულმა“ (დირექტორი გამგებელი).

სასწავლო-საწარმოო კომბინატში ავტომობილის მძღოლის და შემკეთებელი ზეინკლის მოსამზადებლად გამოყოფილია 85 მ<sup>2</sup> ფართობის ოთახი, რომელშიც დამონტაჟებულია დრენაჟორი, მოწყობილია ავტომობილის თეორიული სწავლების კაბინეტი (გამგე რ. კაბაჯიანი) ავტომობილის ტარების სწავლებისათვის, სხვა აუცილებელი საჭირო მასალებითა და სტენდებით. ამასთან ერთად, კომბინატის დამმარე ნაგებობაში საბაზო საწარმოს საქართველოს სსრ ავტოსატრანსპორტო სამინისტროს № 2652 ავტოკოლონის, ქ. თბილისის მსუბუქი ტექსოპოტორის № 1, 4, 5 საწარმოების დახმარებით მოწყობილია სასწავლო-საწარმოო სახელოსნო (საწარმოო სწავლების ოსტატი ნ. კასტეცი). ავ-



ტომობილის მონტაჟის, დემონტაჟისა და სხვა სარემონტო სამუშაოებზე ჩასატარებლად მასში მოწყობილია მოსწავლეთა ინდივიდუალური სამუშაო ადგილები, მოქმედი მოდელები, იგი შევსებულია „გაზ-2101“ ავტომობილის ხმარებაში ნამყოფი ძრავებით, უკანა ხილებით, სიჩქარეთა კოლოფებით და სხვა ნაწილებით. ასევე დამაკმაყოფილებლადაა მოწყობილი სასკოლათა შორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატში მანქანაზე წერისა და თანამედროვე საქმისწარმოების თეორიული სწავლების კაბინეტი (გამგე გ. მელაძე) და მანქანაზე წერის პრაქტიკული სწავლების განყოფილება (ინსტრუქტორი ნ. აბზიანიძე) 20 მოსწავლისათვის ინდივიდუალური სამუშაო ადგილით, იგი შევსებულია 30 ცალი საბეჭდი მანქანით ქართულ და რუსულ ენებზე, რადიოლათი, საეკრანო სქემის, თანამედროვე საქმისწარმოების კორესპონდენციის ნიმუშების, მეთოდური დაფისა და უსაფრთხო მუშაობის წესების სათანადოდ გაფორმებული სტენდებით.

საქარხნო რაიონის № 3 სასწავლო-საწარმოო კომბინატზე მიმაგრებულია ექვსი საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის IX—X კლასების 960 მოსწავლე, მათ შორის 412 მოსწავლე ვაჟია, რომელთაგან ავტომობილის შემკეთებელი ზეინგლის პროფესიას ეუფლება 56, ავტომობილის მძღოლის — 112, ელექტროაპარატურის ამწყობი ზეინგლის — 177, ტელეფონის აპარატურის შემკეთებელი ზეინგლის 67, 548 მოსწავლე გოგონაა, რომელთაგან ქსოვილების დამუშავებას ეუფლება 146, სათამაშოების დამზადებას — 148, სასურსათო მაღაზიის გამყიდველის — 94, მანქანაზე წერისა და თანამედროვე საქმისწარმოების პროფესიას 160 მოსწავლე.

საქარხნო რაიონის სახალხო განათლების განყოფილების № 3 სასწავლო-საწარმოო კომბინატზე მიმაგრებული სკოლების IX—X კლასების მოსწავლეთა გაღრმავებული შრომითი სწავლება დაკავშირებულია ნავთიერ შრომასთან. 1981—1982 სასწავლო წლის პირველ სემესტრში ჩატარებული ნავთიერი მუშაობის შედეგად ელექტროაპარატურის ამწყობ ზეინგლების მოსამზადებელ სასწავლო-საწარმოო საამქროში მოსწავლეთა მიერ დამზადებულია 3500 მანეთის ღირებულების ხანძარსაწინააღმდეგო დისტანციური სითბური რელე „დ ტ ლ“ 500 ც. სათამაშოების დასამზადებელ სასწავლო-საწარმოო საამქროში: სათამაშო „მძინარე თოჯინის“ ლეიბი 1100 ც., ბალიში — 600 ც., სათამაშო ოინზაზი „პეტრუშა“ — 400 ც., სათამაშო „ფიფქა“ — 300 ც. სულ საამქროში დამზადებულია 3070 მანეთის ღირებულების პროდუქცია. ქსოვილების დასამუშავებელ სასწავლო-საწარმოო საამქროში დამზადებულია 7566 მანეთის ღირებულების ლოგინის გადასაფარებელი „პლედი“ 400 ც. და საბავშვო ვილეტი — 550 ც. სულ № 3 სასწავლო-საწარმოო კომბინატის გაღრმავებული შრომითი სწავლების სასწავლო-საწარმოო საამქროებმა მიმდინარე 1981—1982 სასწავლო წლის პირველ სემესტრში საბაზო საწარმოებს (ორგანიზაციებს) ჩააბარეს 14576 მანე-



იის ღირებულების პროდუქცია. შემოწმებული სკოლების IX კლასის სტატისტიკის გაღრმავებული შრომითი სწავლების მასწავლებელთა და საწარმოო სწავლების ოსტატთა ერთი ნაწილი გულდასმით ემზადება ყოველ-ღლიური მუშაობისათვის, სისტემატურად ზრუნავს სასწავლო კაბინეტების, სასწავლო-საწარმოო საამქროს შევსებაზე, თეორიისა და პრაქტიკის მჭიდრო კავშირზე, სწავლებაში ფართოდ იყენებს თვალსაჩინოებას და, რაც მთავარია, სწავლებას უკავშირებს მოსწავლეთა ნაყოფიერ შრომით და პრაქტიკულ საქმიანობას.

ავტომობილის შემკეთებელი ზეინკლების შრომითი სწავლებისა და მწარმოებლური შრომის საწარმოო სწავლების ოსტატმა (ნ. კასტეციკი) IX კლასის მოსწავლეებს ჯერ გააცნო „გაზ-2101“ მანქანის უკანა ხიდის დემონტაჟის, მონტაჟის სამუშაოების ჩატარების თანმიმდევრობა, ამ დავალების შესრულებისათვის საჭირო დრო, ხელსაწყო-იარაღები და შრომითი პროცესის უსაფრთხო მუშაობის ტექნიკის წესები, ყოველივე ამის შემდეგ მოსწავლეთა ბრიგადების ხელმძღვანელებმა საიარალოდან მიიღეს პრაქტიკული სამუშაოს შესასრულებლად საჭირო ხელსაწყოები და დამოუკიდებლად შეუდგნენ მოცემული დავალების შესრულებას. მოსწავლეთა მუშაობის პროცესში საწარმოო სწავლების ოსტატი ამოწმებდა მათ მუშაობას და აძლევდა სათანადო შენიშვნებს. მუშაობის დამთავრების შემდეგ შესრულებული დავალების ხარისხის მიხედვით ბრიგადების ყველა მოსწავლეს მისცა აკადემიური შეფასება და შეიტანა ჯგუფის ჟურნალში. ასევე კარგად მუშაობს მანქანაზე წერის შემსწავლელი ჯგუფი (მასწავლებელი ნ. აბზიანიძე).

შემოწმებამ ნათელყო, რომ საქარხნო რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლები მოსწავლეთა საპროფორიენტაციო მუშაობისათვის სახელმძღვანელოდ იყენებენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებებსა და რეკომენდაციებს. მოსწავლეთა სწორი პროფორიენტაციის მიზნით საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს № 915 ბრძანების საფუძველზე 108-ე, 117-ე, 146-ე საშუალო სკოლებში შექმნილია პროფორიენტაციის სასკოლო კომისიები.

რაიონის სკოლებში განსაკუთრებული პასუხისმგებლობით ეკიდებიან კურსდამთავრებულთა შრომითი მოწყობის საკითხს. რაიონის თითოეულ სკოლაში კურსდამთავრებულთა შრომითი მოწყობის საკითხი განხილულია პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე. გატარებული ღონისძიებების შედეგად რაიონის 1167 კურსდამთავრებულიდან დასაქმებულია 744 კურსდამთავრებული, მათგან სამრეწველო საწარმოებში — 125, სამშენებლო ორგანიზაციებში — 32, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში — 76. რაიონის სკოლების მუშაობაში პროფესიული ორიენტაცია რომ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ეს იქიდანაც ჩანს, რომ შემოადინებული სკოლების კლასის ხელმძღვანელებს მჭიდრო კავშირი აქვთ დამყარებული საგნის მასწავლებლებთან, ბიონერულ და კომ-



კავშირულ ორგანიზაციებთან, გაწეულია სათანადო მუშაობა მოსწავლე-თა მშობლებთან. ამ მხრივ აღნიშვნის ღირსია კლასის ხელმძღვანელმა ცხვარიაშვილის მუშაობა (146-ე საშუალო სკოლა). ვ. ცხვარიაშვილის სადამრიგებლო კლასმა სკოლის დამთავრების შემდეგ სამუშაოდ დიმიტროვის სახელობის ქარხანას მიაშურა, კლასის ხელმძღვანელმა ქარხანაშიაც არ მოაკლო ყურადღება ახალგაზრდა სპეციალისტებს, დატოვა სკოლა და მოსწავლეების გვერდით ქარხანაში დაიწყო მუშაობა. ერთი წლის შემდეგ ვ. ცხვარიაშვილი კვლავ დაუბრუნდა სკოლას და სადამრიგებლოდ მე-71 კლასს ჩაუდგა სათავეში. დადებითი შედეგი განაპირობა იმ ფაქტმა, რომ კლასის ხელმძღვანელმა მოსწავლეებს შეაყვარა შრომა, მათ მშობლებთან ატარებდა საინტერესო და მრავალფეროვან ღონისძიებებს, აწყობდა ექსკურსიებს ქარხანაში, აცნობდა მათ ქარხნის აწმყოსა და მომავალს, ახვედრებდა ქარხნის მოწინავეებთან.

ასევე კარგად მუშაობს 117-ე საშუალო სკოლის IVა კლასის ხელმძღვანელი კ. ხარტიკოვა, იგი მოსწავლეებთან შრომითი აღზრდისა და პროფესიული ორიენტაციის მიზნით საინტერესო ღონისძიებებს ატარებს. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მოსწავლეებში მეცნიერული კვლევა-ძიების, დამოუკიდებელი შრომითი საქმიანობის უნარჩვევების ჩამოყალიბებას, კლასგარეშე და სკოლისგარეშე შემოქმედებით წრეებში მოსწავლეთა საქმიანობას.

საქარხნო რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში შრომით სწავლებაში არსებული წარმატებები იმიტაც არის განპირობებული, რომ ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველო (ამხ. ლ. ჩიქვანაია), შრომის სწავლებისა და პროფესიული ორიენტაციის ინსპექტორი (ამხ. რ. სტურუა) თანმიმდევრულ ჯანმარებას, ხელმძღვანელობასა და კონტროლს ახორციელებენ საქარხნო რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ახალგაზრდობის შრომითი სწავლების, აღზრდისა და პროფესიული ორიენტაციის გაუმჯობესების მიზნით.

ქალაქის სამმართველომ ხუთწლიანი პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესაბამისად 1980—1981 სასწავლო წლის III სემესტრში შეისწავლა და საბჭოს სხდომაზე განიხილა ქ. თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში შრომითი სწავლების მდგომარეობა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებანი. სახალხო განათლების სამმართველოს საბჭოს 1981 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილებაში ქ. თბილისის სხვა რაიონების სკოლებთან ერთად სრულყოფილადაა წარმოდგენილი საქარხნო რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა შრომითი სწავლების, აღზრდისა და პროფესიული ორიენტაციის მდგომარეობა. დასახულია ღონისძიებანი შრომით სწავლებაში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრისათვის.

1982 წლის ოქტომბერში შესწავლილ იქნა საქარხნო რაიონის

№ 3 სასკოლათა შორის სასწავლო-საწარმოო კომბინატში მოსწავლეთა გამოცხადებისა და სასწავლო პროცესის ორგანიზაციის მდგომარეობა შემოწმების მასალები განხილულ იქნა საქარზნო რაიონის სახალხო განათლების საბჭოს სხდომაზე.

აღნიშვნის ღირსი კლასის ხელმძღვანელთა: ჟღეზნიაკის (152-ე საშუალო სკოლა), უჯმაჯურიძის, შუბენცოვას (108-ე საშუალო სკოლა) ნაყოფიერი მუშაობა მოსწავლე ახალგაზრდობის შრომითი აღზრდისა და პროფორიენტაციის საქმეში.

მიღწევებთან ერთად შემოწმებამ ნათელყო, რომ რაიონის რიგ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში მოსწავლეთა შრომითი სწავლების, აღზრდისა და პროფესიული ორიენტაციის საქმეში არსებობს სერიოზული ნაკლოვანებებიც.

შემოწმებამ ცხადყო, რომ რაიონის მთელ რიგ სკოლებში ნელი ტემპით მიმდინარეობს შრომის ოთახების შექმნა მოსამზადებელი, II—III კლასების მოსწავლეებისათვის.

არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია IV—VIII კლასების შრომითი სწავლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა 82-ე საშუალო (დირექტორი ვორობიოვა), 105-ე საშუალო (დირექტორი პარასტაცოვა), 94-ე საშუალო (დირექტორი ტყეშელაშვილი), 109-ე საშუალო (დირექტორი არუთინოვი) სკოლებში. აღნიშნულ სკოლებში ტექნიკური შრომის სახელოსნოები მოთავსებულია მცირე ფართობის მქონე ოთახებში, ჩარხ-დანადგარები ტექნიკურად არასწორადაა დამონტაჟებული, მოსწავლეთა ინდივიდუალური სამუშაო ადგილები არ შეესაბამება მოსწავლეთა რაოდენობას.

82-ე საშუალო სკოლაში (დირექტორი ა. ვორობიოვა, შრომის მასწავლებელი რ. ქველიძე) ტექნიკური შრომის კომბინირებული სახელოსნო მოთავსებულია მცირე ფართობის (25 კვ. მ) ოთახში. სახელოსნოში ჩარხ-დანადგარები დაზიანებული და გამოუყენებელია მოსწავლეთა შრომითი სწავლებისათვის, მცირეა მოსწავლეთა ინდივიდუალური სამუშაო ადგილები, არასაკმარისი რაოდენობითაა მჭრელი და საზომი იარაღები, დარღვეულია მოსწავლეთა საქმიანობისათვის სანიტარულ-ჰიგიენური პირობები. ანალოგიური მდგომარეობაა 157-ე საშუალო სკოლაში (დირექტორი გიორგობიანი, მასწავლებელი უზინიანი), 94-ე საშუალო სკოლაში (დირექტორი ტყეშელაშვილი, შრომის მასწავლებელი ჩეტივეი). აღნიშნულ სკოლებში ტექნიკური შრომის სწავლებისათვის გამოყოფილი ოთახები არ აკმაყოფილებს სასწავლო სახელოსნოების დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. სახელოსნოები მოუწყობელია და ელემენტარულადაც ვერ ამართლებენ თავიანთ დანიშნულებას, მცირეა მათში მოსწავლეთა ინდივიდუალური სამუშაო ადგილები, დარღვეულია სასწავლო დაზგებისა და ჩარხების განლაგების ტექნიკური ნორმები. შემოწმებით გამოირკვა, რომ არ არის დაცული შრომის უსაფრთხოების წესები: 106-ე (დირექტორი კანანოვა), 131-ე (დირექტორი პაპი-

454

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ  
სახელმწიფო რესპ.





ძე, მასწავლებელი სოკოლოვი), 107-ე (დირექტორი ლევიშვილი, მასწავლებელი ქობულა), 94-ე (დირექტორი ტყემელაშვილი, მასწავლებელი ჩეტეივი) საშუალო სკოლებში. ამასთან ერთად, შემოქმედებამ წარმოადგინა, რომ რაიონის რიგ საშუალო სკოლებისათვის ნაწილობრივ არაა შერჩეული საბაზო საწარმოო ორგანიზაციები, რის გამოც დარღვეულია შემდგომი ორგანიზების მითითება გაღრმავებული შრომითი სწავლების შესახებ.

იმის გამო, რომ 107-ე, 82-ე, 94-ე საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებზე ნაწილობრივ საბაზო ორგანიზაციები არაა გამოყოფილი, აღნიშნული სკოლების IX—X კლასების მოსწავლე გოგონები გაღრმავებულ შრომით სწავლებას სკოლაში გადაიან, სწავლებისათვის არ გააჩნიათ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, არაა შექმნილი თეორიული სწავლების კაბინეტები. მაგალითად, 82-ე საშუალო სკოლაში IX—X კლასების გოგონები სწავლობენ ქსოვილების დამუშავებას, მათ მხოლოდ თეორიული სახის მეცადინეობები უტარდებათ სხვადასხვა საგნების კაბინეტებში, ანალოგიური მდგომარეობაა 94-ე და 107-ე საშუალო სკოლებში.

არაღამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს გაღრმავებული შრომითი სწავლება საწარმოო დაწესებულებების ბაზაზე. ჯერ კიდევ სუსტია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ადგილობრივი წარმოება-დაწესებულებების მიერ გაწეული დახმარება, ნაკლებად ეხმარებიან საბაზო ორგანიზაციები შემდეგ სკოლებს: 76-ე საშუალო სკოლა, მისი საბაზო ორგანიზაცია (დირექტორი კობალიანი), 82-ე და 106-ე საშუალო სკოლები, საბაზო ორგანიზაცია დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანა (დირექტორი ვ. თორღია), 168-ე საშუალო სკოლა, საბაზო საწარმოო გაერთიანება „სიხარულის“ სათამაშოების № 2 ფაბრიკა (დირექტორი შენგელია). ამ საშეფო ორგანიზაციების მიერ საწარმოებში მოსწავლეთათვის გამოყოფილი არაა სასწავლო საამქროები, მოუწყობელია თეორიული სწავლების ოთახები. გაღრმავებულ შრომით სწავლებაში არსებული ნაკლოვანებები იმითაც არის გამოწვეული, რომ სკოლის დირექციები არ ითვალისწინებენ განათლების სამინისტროს 1981 წლის 25 მარტის № 05-5-380/8 ცირკულარულ წერილს „რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში შრომითი სწავლების გაუმჯობესებულ სასწავლო პროგრამებზე გადასვლის შესახებ“. ეს შეიძლება ითქვას 168-ე (დირექტორი ადამაშვილი), 107-ე (დირექტორი ლევიშვილი) და 82-ე (დირექტორი ვორობიოვა) საშუალო სკოლებზე.

აღნიშნული სკოლების IX—X კლასების მოსწავლეთა მეცადინეობის ცხრილში გაღრმავებულ შრომით სწავლებას ნაცვლად 6 საათისა, დათმობილი აქვს 4 საათი. ასეთი დარღვევები ხელს უშლის სხვა დისციპლინის სწავლებასაც. მაგალითად: 168-ე საშუალო სკოლაში (დირექტორი





ადამაშვილი) სასწავლო მეცადინეობის ცხრილში საწარმოო შრომითი პრაქტიკის შემდეგ მე-5 და მე-6 გაკვეთილებზე ტარდება ფიზიკა და ქიმია, ხოლო 107-ე საშუალო სკოლის IX—X კლასების სწავლება ორ დღეზეა განაწილებული. საბაზო ორგანიზაციები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ გაღრმავებული შრომითი სწავლების გაუმჯობესების საქმეს. ნაკლები ყურადღება ექცევა პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის სასწავლებელთა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენების საქმეს. ამ მხრივ მხოლოდ 71-ე პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელია გამოყენებული და აქაც 124-ე სკოლის IX—X კლასების მოსწავლეებს არა აქვთ შექმნილი ნორმალური მეცადინეობისა და შრომის პირობები.

შემოწმებამ ნათელყო, რომ ბევრ სკოლაში IX—X კლასების მოსწავლეთა გაღრმავებული შრომითი სწავლებისათვის ჯერჯერობით შექმნილი არაა მტკიცე მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. რაიონის სახალხო განათლების განყოფილების, მეთოდური კაბინეტისა და სკოლის ხელმძღვანელების მიერ ამ დარგში ჩატარებული მუშაობა სათანადოდ ვერ აასუხიბს იმ გავრდილ მოთხოვნებს, რომლებიც დაყენებულია სკოლების წინაშე.

შემოწმებით გამოირკვა, რომ № 3 სასწავლო-საწარმოო კომბინატი მოთავსებულია მცირე საწარმოო ფართობის, ძველ, უხარისხო, შეუფერებელ შენობაში, რომლის ერთი ნაწილი დაკავებული აქვს საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს № 61 საქალაქო საფოსტო განყოფილებას.

სასწავლო-საწარმოო კომბინატისათვის განკუთვნილი შენობის საწარმოო ფართობის სიმცირის გამო ტელეფონის აპარატურის შემკეთებელი ზეინკლის, სასურსათო მაღაზიის გამყიდველის პროფესიების შემსწავლელი ჯგუფების თეორიული სწავლების კაბინეტები, შრომითი სწავლების სასწავლო-საწარმოო საამქროები, ლაბორატორიები მოთავსებულია მცირე ფართობის მქონე სათავსოებში, სადაც დარღვეულია დანადგარების დამონტაჟების ყოველგვარი ტექნიკური ნორმა. ასევე სასწავლო-საწარმოო კომბინატში მცირე ფართობი აქვს დათმობილი მოსამზადებელ, საიარაღო მასალების, მზა პროდუქციის საწყობებსა და სხვა დამხმარე სათავსოებს.

მანქანაზე წერისა და თანამედროვე საქმისწარმოების კაბინეტი შევსებული არაა საბეჭდი მანქანის სპეციალური მაგიდებით, სკამებით, მასში ითუწყობელია დღის ელექტრული განათება, ბგერითი იზოლაცია და ხმაურის შესამცირებლად საბეჭდი მანქანები მოთავსებული არაა ნაბდის რბილ საფენებზე.

საბაზო საწარმოების: სსრ კავშირის ხელსაწყოთა მშენებლობის ავტომატიზაციის სამუშაოთა და მართვის სისტემების სამინისტროს ქარხანა „იბილხელსაწყოს“, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველო-

ბის სამინისტროს სატრიკოტაჟო-საგალანტერიო გაერთიანების, ასევე სამინისტროს სათამაშოების გაერთიანება „სიხარულს“ მიერ სასწავლო-საწარმოო კომბინატში შექმნილი სასწავლო-საწარმოო საამქროები, კაბინეტ-ლაბორატორიები და დამხმარე სამსახურები არ წარმოადგენენ ამ ორგანიზაციების სტრუქტურულ ქვედანაყოფებს და გათვალისწინებული არ არიან ამ ორგანიზაციათა საწარმოო გეგმებში. ისინი რიტმულად არ მარაგდებიან სამუშაო მასალებით, ან ზოგჯერ გამოყოფილი ნედლეულით. გამოსაშვები პროდუქციის დამზადება მეტად მარტივ ოპერაციებს საჭიროებს, რის შედეგადაც მოსწავლეები დაუსაქმებელი, დაუტვირთავი რჩებიან და უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან საწარმოო დავალების შესრულებას. ასე მაგალითად, ელექტროაპარატურის ამწყობ საშენიკლო სასწავლო-საწარმოო სახელოსნოში IX—X კლასების მოსწავლეები ხანგრძლივი დროის განმავლობაში მუშაობენ დისტანციური სითბური რელეს „დტლის“ აწყობაზე, სამკერვალო სასწავლო საამქროში ბალოშის პირების კერვაზე, სათამაშოების დამზადებაზე და სხვა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის, რომ IX და X კლასების მოსწავლეები ერთ და იგივე საწარმოო დავალებას ასრულებენ, სწავლების დროის მიხედვით არ ხდება შესრულებული საწარმოო დავალების პროცესის გაცნობა, რაც თავის მხრივ იწვევს მოსწავლეთა დაუინტერესებლობას.

ასევე შემოწმებამ ნათელყო, რომ სასწავლო-საწარმოო კომბინატის IX—X კლასების სპეციალური მომზადების თეორიული სწავლების მასწავლებელთა, საწარმოო სწავლების ოსტატთა და მწარმოებლური შრომის ხელმძღვანელთა ერთი ნაწილის თეორიული, პედაგოგიური გაწოდების დონე დაბალია, ისინი სათანადოდ არ ემზადებიან ყოველდღიური მუშაობისათვის, არ იყენებენ საჭირო მეთოდურ ლიტერატურას, დაბალ აკადემიურ დონეზე ატარებენ მეცადინეობას, თეორიას არ უკავშირებენ მოსწავლეთა პრაქტიკულ საქმიანობას და სასწავლო მასალის გავლისას არ იცავენ სასწავლო პროგრამებით გათვალისწინებულ თანმიმდევრობას, ნაკლებ ყურადღებას უთმობენ პროფესიული მომზადების კავშირს ზოგადსაგანმანათლებლო საგნებთან, სათანადოდ ვერ ხელმძღვანელობენ მოსწავლეთა პრაქტიკულ მუშაობას და ნაყოფიერ შრომას.

ელექტროაპარატურის ამწყობ ზეინკლების შემკეთებელი ჯგუფის ელექტროტექნიკის თეორიის მასწავლებელმა (ა. ბრასლავსკი) IX კლასში თვითნებურად, ელექტროტექნიკის სასწავლო პროგრამიდან ჯერ გაიარა თემა № 5 „ელექტროსაზომი ხელსაწყოები“ (18 სთ.) და შემდგომ თემა № 2 „საერთო ცნობები თანამედროვე სამრეწველო წარმოების ელექტრონიკური დანადგარებისა და ელექტროენერგეტიკული სამსახურების შესახებ“ (6 სთ.). ამ თემიდან ჯგუფში ახალ მასალად 1982 წლის 27 იანვარს ყოველგვარი თვალსაჩინოების გამოყენების გარეშე გადასცა ბოლო საკითხი „უსაფრთხოების ტექნიკის თავისებურებანი

ელექტროტექნიკური სამუშაოების შესრულების დროს“, რაც აუცილებლობით არ იყო გამოწვეული, მან მოსწავლეებს არ გააცნო მომდევნო პრაქტიკული მუშაობისა და ასაწყობი პროდუქციის სახეობა.

ამ ფაქტის მოსწავლეთა აკადემიური მომზადება ელექტროტექნიკაში დაბალია, მათ წარმოდგენა არა აქვთ სახანძრო დისტანციური სითბური რეღეს „დტლ-ის“ მოქმედების პრინციპებზე და მისი წრედში ჩართვის სქემაზე, რასაც IX—X კლასების მოსწავლეები პირველი სემესტრის მანძილზე პრაქტიკულად აწყობდნენ, გავლილი საპროგრამო მასალიდან მათ არ იციან მაგნიტოელექტრული, ელექტრომაგნიტური, სითბური სისტემის ხელსაწყობების მოქმედების პრინციპი, მოწყობილობა და წარმოდგენა არა აქვთ მათი წრედში ჩართვაზე.

სასწავლო-საწარმოო კომბინატში შრომითი სწავლების პროცესში ზოგიერთ სასწავლო ფაქტში არ არის შექმნილი მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადები.

შემოწმებით გამოირკვა, რომ სასწავლო-საწარმოო კომბინატში ადგილი აქვს მოსწავლეთა სამუშაოზე არგამოცხადებისა და დაგვიანების შემთხვევებს. მიმდინარე 1981—1982 სასწავლო წლის პირველ სემესტრში კომბინატზე მიმაგრებული 6 საშუალო სკოლის 960 მოსწავლემ 3284 საათი გააცდინა და აღრიცხულია 100-მდე დაგვიანების შემთხვევა. მათგან: ქ. თბილისის 108-ე საშუალო სკოლის 194-მა მოსწავლემ გააცდინა 86 საათი და აღრიცხულია დაგვიანების 16 შემთხვევა, 146-ე საშუალო სკოლის 139-მა — 510 საათი — 11 შემთხვევა, 152-ე საშუალო სკოლის 220-მა — 1216 საათი — 22 შემთხვევა, 109-ე საშუალო სკოლის 174-მა — 1310 საათი — 19 შემთხვევა, 145-ე საშუალო სკოლის 125-მა — 1982 საათი — 10 შემთხვევა, 156-ე საშუალო სკოლის 108-ამ — 926 საათი და აღრიცხულია დაგვიანების 22 შემთხვევა.

დაბალ დონეზე ატარებენ შრომის გაკვეთილებს 76-ე საშუალო სკოლაში მასწავლებელი ო. ხაჩატუროვი, 107-ე საშუალო სკოლაში მასწავლებელი ქობულია, 82-ე საშუალო სკოლაში მასწავლებლები ნ. ქველიძე და დ. ტოგონიძე, 94-ე საშუალო სკოლაში ნ. ჩუტევი.

შემოწმებამ ცხადყო, რომ მასწავლებლები სათანადოდ არ ემზადებიან გაკვეთილებისათვის, არ იცნობენ სწავლებაში არსებულ უახლეს მეთოდებსა და ხერხებს, არ იცავენ საპროგრამო საკითხების თანმიმდევრულ სწავლებას, მზრუნველობას არ იჩენენ მოსწავლეთა კვლევით, მეცნიერული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისათვის, არ ხელმძღვანელობენ ტექნიკურ წრეებში მოსწავლეთა საქმიანობას.


82-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი რ. ქველიძე, რომელიც განათლებით ინჟინერ-მექანიზატორია და 107-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი ნ. ქობულია, რომელიც სპეციალობით ისტორიკოსია, IV—VII კლასებში შრომის გაკვეთილებზე არ იცავენ სასწავლო პროგრამით

გათვალისწინებული თემების სწავლების თანმიმდევრობას. მაგალითად, მასწავლებელმა ნ. ქობულაძემ მე-ნა კლასში პირველ გაკვეთილზე მოსწავლეებს აუხსნა შტანგილ-ფარგალი, ხოლო მეორე გაკვეთილზე უკვე მოსწავლეებს უკვე ღოჯით. ახალი მასალის განმტკიცების მიზნით მოსწავლეებს საქმიანად დაუბრუნა ლითონის ნამუშალები. აღნიშნულ კლასში პროგრამით არც ერთი საკითხი გათვალისწინებული არ ყოფილა. ანალოგიური დარღვევებია მასწავლებელ რ. ქველიძის მუშაობაში. მასწავლებლები რ. ქველიძე და ნ. ქობულაძე არ იცნობენ გაკვეთილის სტრუქტურას, გაკვეთილზე უშვებინ მეცნიერული ხასიათის უხეშ შეცდომებს.

მოოშმადებლად ატარებს საყოფაცხოვრებო შრომის გაკვეთილებს 94-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი ნ. ჩეტივეგი, იგი ამახინჯებს ტერ-მინოლოგიას, უშვებს მეცნიერული და მეთოდური ხასიათის შეცდომებს, მასწავლებლები: ქველიძე, ტოვონიძე (82-ე საშუალო სკოლა), ნ. ჩეტივეგი (94-ე საშუალო სკოლა), თ. ხაჩატუროვი (76-ე საშუალო სკოლა), გ. ქობულაძე (107-ე საშუალო სკოლა) არ იყენებენ მოსწავლეთა ცოდნის შთასაბაში დამკვიდრებულ ხუთქულიან სისტემას.

შემოწმებამ ცხადყო, რომ მოსწავლეთა გარკვეული ნაწილი დამაკმაყოფილებლად ვერ ფლობს საპროგრამო მასალას, სემესტრის ბოლოს კი მოსწავლეთა უმრავლესობა შეფასებულია ფრიადზე. არასწორად ხდება სასკოლო ყურნალებში საპროგრამო საკითხების შეტანა და ჩატარებული გაკვეთილების ფიქსირება. მასწავლებლები არ მუშაობენ მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური, მეცნიერული და მეთოდური დონის ამაღლებისათვის.

შემოწმებით გამოირკვა, რომ რაიონის 76-ე (დირექტორი ცხადაძე), 82-ე (დირექტორი ვორობიოვა), 94-ე (დირექტორი ტყეშელაშვილი), 107-ე (დირექტორი ლეკიშვილი), 109-ე (დირექტორი არუთიანი), 157-ე (დირექტორი გიორგობიანი), 168-ე (დირექტორი ადამაშვილი) საშუალო სკოლების საგნის მასწავლებლები გაკვეთილის პროცესში ნაკლებ ყურადღებას უთმობენ მოსწავლეთა პროფორიენტაციას. ამ საკითხზე არ არის გამახვილებული ყურადღება სკოლის დირექტორებისა და მათი მოადგილეების მიერ მოსმენილი გაკვეთილების ანალიზებში, რაიონის სკოლებში კლასის ხელმძღვანელები საუბრებისა და ანკეტური გამოკითხვის საშუალებით ავლინენ თითოეული მოსწავლის ნიჭს, უნარს, შესაძლებლობებს, მაგრამ შიმდეგ ინდივიდუალურად არ მუშაობენ თითოეულ მოსწავლესთან, არ ეხმარებიან სწორი გზის არჩევაში, არ ახდენენ საგნის მასწავლებლებთან ერთად მოსწავლეზე სისტემატურ დაკვირვებას. ამიტომ არა აქვთ შედგენილი მოსწავლეთა პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური დახასიათებები მათი ინტერესების, მიდრეკილებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში არ შირულდა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 22 დეკემბრის დადგენილების ის ნაწილი, რომელიც ითვალისწინებდა 1978 წლის 25 სექტემბრამდე



რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში პროფესიული ორიენტაციის, სასწავლო-მეთოდური კაბინეტის მუშაობას. საპროფორიენტაციო საკითხები არ შექცება სკოლის კედლის გაზეთებში. რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში შექმნილია პროფორიენტაციის სასკოლო საბჭოები, მაგრამ მათ არა აქვთ სამუშაო გეგმა. სკოლების პროფორიენტაციული მუშაობა, ძირითადად, პროფესიული სასწავლებლების კონტინგენტის დაკომპლექტებით განისაზღვრება და აქაც რაიონის 76-ე, 117-ე, 168-ე, 82-ე, 156-ე, 109-ე საშუალო სკოლებს შესრულებული არა აქვთ კურსდამთავრებულთა პროფტექნიკურ სასწავლებლებში ჩარიცხვის 1981 წლის გეგმა.

დაბალ დონეზეა მოსწავლეთა წრეობრივი მუშაობა 82-ე, 76-ე, 107-ე, 168-ე, 152-ე საშუალო სკოლებში. ტექნიკური შრომის სახელოსნოებში არაა გამოყენილი მოსწავლეთა საუკეთესო ნამუშევრები, არ ტარდება მოსწავლეთა თვითნაკეთი ნამუშევრების სასკოლო გამოფენა-დათვალიერება.

შემოწმებამ ცხადყო, რომ რაიონის რიგ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში შრომით სწავლებაში არსებული ნაკლოვანებების გარკვეული ნაწილი გამოწვეულია სკოლის დირექციების სუსტი შინასასკოლო კონტროლით, მოსმენილი გაკვეთილების ანალიზებიდან გამომდინარე მასწავლებლებს არ ეძლევათ მეთოდურად დახვეწილი რეკომენდაციები, გაკვეთილზე დასწრებით არ ხდება მოსწავლეთა ცოდნის დონის გამოკვება, თუ როგორ უკავშირებიან მოსწავლეები თეორიულ ცოდნას პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს. გაკვეთილებზე დასწრების მიზანს არ წარმოადგენს იმ მეთოდური შენიშვნების, რეკომენდაციების შესრულების შემოწმება, რომლებიც მასწავლებლებს მიეცათ მოსმენილი გაკვეთილების შედეგად. ისინი კმაყოფილდებიან მხოლოდ გაკვეთილების მსვლელობის აღწერით. 76-ე (დირექტორი ცხადაძე), 82-ე (დირექტორი ვორობიოვა), 152-ე (დირექტორი კოსტაშვილი), 168-ე (დირექტორი ადამაშვილი) საშუალო სკოლები; არ ზრუნავენ მასწავლებელთა მეთოდური მეცნიერული დონის ამაღლებისათვის; აღნიშნულ სკოლებში არ ფუნქციონირებს შრომის მასწავლებელთა მეთოდგაერთიანება.

შემოწმების შედეგად გამოირკვა, რომ მიმდინარე 1981—1982 სასწავლო წელს შრომითი სწავლების მდგომარეობა პედსაბჭოზე განიხილეს მხოლოდ 76-ე საშუალო სკოლაში (დირექტორი ცხადაძე). სტუმრის ხსენებამ არ მომხდარა პრინციპული მსჯელობა შრომის სწავლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მდგომარეობის შესახებ, ანალოზი არ გაუკეთდა თითოეული მასწავლებლის საქმიანობას, ნაკლოვანი მხარეების აღმოსაფხვრელად არ დასახულა კონკრეტული ღონისძიებანი.

ასევე გამოირკვა, რომ რაიონის 82-ე (დირექტორი ვორობიოვა), 76-ე (დირექტორი ცხადაძე), 157-ე (დირექტორი გიორგობიანი) საშუალო სკოლებში ადგილი აქვს IV—VIII კლასების შრომის მასწავლე-



ბელთა დენადობას, რაც იმ გარემოებაზე მიუთითებს, რომ აღნიშნულ სკოლებში არასათანადო ყურადღება ეთმობა კადრების შერჩევას, მათთან მუშაობისა და დამავრების საქმეს.

შემოწმებით აღმოჩნდა, რომ რაიონის სახალხო განათლების განყოფილება (გამგე გ. კბილაშვილი, მეთოდკაბინეტის გამგე, შრომის სწავლებისა და პროფორიენტაციის ინსპექტორი ნ. ხორავა) თანმიმდევრულ კონტროლს არ ახორციელებს რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების შრომითი სწავლების გაუმჯობესებისათვის. განყოფილებას გეგმით გათვალისწინებული ქონდა 1981 წლის ოქტომბერში შეესწავლა რაიონის სკოლებში შრომის სწავლების მდგომარეობა და შედეგები განეხილა სახალხო განათლების საბჭოს სსდომაზე (შემსრულებელი ხორავა), მაგრამ საკითხი არ შესწავლილა უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში. საბჭოს სსდომაზე განხილულია მხოლოდ ერთი საკითხი „რაიონის განათლების განყოფილების ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 22 დეკემბრის ერთობლივი დადგენილების შუქზე“. განათლების განყოფილება სკოლების კომპლექსური შემოწმების დროს სრულყოფილად არ სწავლობს შრომით სწავლებაში არსებულ მდგომარეობას, არ ზრუნავს ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.

მაგალითად, 82-ე საშუალო სკოლის კომპლექსური შემოწმების მასალებში აღნიშნული არ არის, რომ IX—X კლასელ გოგონებს ქსოვილების დამუშავების სწავლებისათვის არ გააჩნიათ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, არ არის მითითებული სკოლის დირექტორისათვის, რომ დაწყებითი სამხედრო სწავლების მასწავლებელს ამხ. ისაკოვს არაკანონიერად უნაზღაურდება შრომის 12 სთ. პედაგოგიურ საბჭოზე ოქმში დასახული არ არის კონკრეტული ღონისძიებანი სწავლების გაუმჯობესების საქმეში.

